საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-57

14/02/2023

ქ. თბილისი

შპს „REFCO“-ზე ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2023 წლის 21 იანვარს სამინისტროს მომართა შპს „REFCO“-მ და ითხოვა 13 ტონა და 600 კილოგრამი ოზონდამშლელი ნივთიერების - ქლორდიფტორმეთანის (CHF2Cl, HCFC-22) იმპორტის ნებართვის მიღება.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2023 წელს აღნიშნული ნივთიერების იმპორტის მოთხოვნის ჯამურმა რაოდენობამ (35 ტონა) გადააჭარბა „ოზონდამშლელი ნივთიერებების 2023 წლის წლიური საიმპორტო კვოტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 14 დეკემბრის №2-915 ბრძანებით დადგენილ წლიურ კვოტას (35 ტ). შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილების მე-6 მუხლით განსაზღვრული საიმპორტო კვოტის განაწილების წესის მიხედვით, შპს „REFCO“-ზე შესაძლებელია გაიცეს წლიური იმპორტის ნებართვა ოდენობით 9 ტონა და 667 კილოგრამი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (#000026) შპს „REFCO“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 245592906) 9 ტონა და 667 კილოგრამი ოზონდამშლელი ნივთიერების - ქლორდიფტორმეთანის (CHF2Cl, HCFC-22) იმპორტისთვის;
2. ნებართვა ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრამდე;
3. შპს „REFCO“-მ უზრუნველყოს „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილებით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „REFCO“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „REFCO“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი